სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1069-02
28/09/2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხელოვნების და კულტურის კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე და 36-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე და 33-ე მუხლების საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების” საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 ივლისის N8 და 2015 წლის 21 სექტემბრის N10 ოქმების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2015 წლის 28 სექტემბრიდან დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ხელოვნების და კულტურის კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და **ხელოვნების და კულტურის კვლევების მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** არჩეულ იქნას **მანანა ითონიშვილი.**
2. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურებისათვის: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცვა-ანგარიშის დეპარტამენტი, საფინანსო დეპარტამენტი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.
3.უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

გიგა ზედანია

რექტორი